



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი

თარიღი: 02 აგვისტო 2021

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ 11.

სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), გიორგი ტურაზაშვილი, გიორგი თევზაძე, დისტანციურ რეჟიმში (Zoom პლატფორმის გამოყენებით) მონაწილე წევრები: მამუკა ნოზაძე, ნათია კორკოტაძე, ირაკლი ყანდაშვილი, მარიამ კუბლაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ მარიამ ტონიას და გაიოზ შეყელაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ ტონიას და გაიოზ შეყელაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

## საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) ირმა მოსულიშვილის და ავთანდილ დიასამიძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ირმა მოსულიშვილის და ავთანდილ დიასამიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) ინეზა წოწონავას განცხადებას ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მას ჰყავდა მძიმედ ავადმყოფი შვილი, რომლის მკურნალობის მიზნით 2019 წლის ოქტომბერში იგი გაემგზავრა გერმანიაში, სადაც იმყოფებოდა ერთი წლის და 9 თვის განმავლობაში (თანდართული იყო შესაბამისი დოკუმენტაცია და ასევე - ყველა საჭირო დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან). შესაბამისად, მას აღნიშნული პერიოდის განმავლობაში საადვოკატო საქმიანობა არ განუხორციელებია. 2020 წელს მან მიმართა ასოციაციას წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებით. ამჟამად კი მისთვის ცნობილი გახდა, რომ საწევროს გადაუხდელობის გამო შეწყვეტილი ჰქონდა წევრობა. განცხადებაში ითხოვდა საწევრო დავალიანების გადახდისგან გათავისუფლებას და წევრობის აღდგენას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2020 წლის 17 თებერვლის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, ინეზა წოწონავას პირადი განცხადების საფუძველზე, 2020 წლის საწევრო დავალიანებით შეუჩერდა ასოციაციის წევრობა, ხოლო აღმასრულებელი საბჭოს 2021 წლის 1-ლი თებერვლის გადაწყვეტილებით “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>3</sup> მუხლის 1-ლი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გადაუხდელობის გამო, მას შეუწყდა ასოციაციის წევრობა.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს ინეზა წოწონავას

განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევროს დავალიანების გადახდისაგან სრულად გათავისუფლების დაკმაყოფილების თაობაზე. თუმცა, საბჭო ითვალისწინებს განცხადებაში აღნიშნულ გარემოებას და მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს ხელახლა გაწევრიანების ნაწილში, ხოლო საწევრო დავალიანების გადახდა გადაუვადდეს მ/წლის ბოლომდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ინეზა წოწონავას განცხადება ხელახლა გაწევრიანების შესახებ და მას 2020 წლის საწევრო დავალიანების გადახდა გადაუვადდეს მ/წლის 20 დეკემბრამდე.

### საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრის - თინათინ გვიმრაძის განცხადებას წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ განმცხადებელს, გამომდინარე იქიდან, რომ ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, მას გადასახდელი აქვს 2021 წლის საწევრო, ეცნობოს, რომ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავ კანონის 21<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: “საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის

შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21<sup>3</sup> მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს თინათინ გვიმრაძის განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ. ამასთან, ეცნობოს ინფორმაცია არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, ასევე - იმის თაობაზეც, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მას შეუწყდება ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, 2021 წლის 18 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად შემოსული 2021 წლის საწევრო გადასახადის გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა.

დღის წესრიგის მე-4 საკითხთან დაკავშირებით, წევრები გაეცნენ საწევრო დავალიანების მქონე წევრთა - ნიკოლოზ ზაქარაია, თეონა ტაბატაძე, ანა გუჯარაიძე, თემირ გვიშიანი, ნინო ხატია ქუბრიაშვილი, ლაშა გოლუბიანი, ელენე კავთუაშვილი, გიგა კოლუა, მზია ფხალაძე, გიორგი გოლუბიანი, მურმან ქამადაძე, შორენა ბარათაშვილი, ლალი ეუაშვილი, სოფიო გოგლიჩიძე, ივანე იორამაშვილი, ჯონი ქობალია, ნუგზარ დიდიშვილი, ნინო დოლიძე, ივანე სვიმონიშვილი, რუსუდან კვინიკაძე, ავთანდილ ბუაძე, დავით კორკოტაშვილი, მირიან პეტრიაშვილი, სალომე სამხარაძე, თეა ღვინჯილია, მათა გულიაშვილი, კოკი კობახიძე, თეიმურაზ მეზერიშვილი, ტრისტან ლომიძე, მალხაზ ბოლქვაძე, თამარი ლომთაძე, დარეჯან ზედგენიძე, თამაზ სვანიშვილი, მევლუდ ჯანჯღავა, მარინა ჯანიაშვილი, გელა გოგიჩაიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, მარიამ ძიძიგური, სალომე ზურაბიანი, თეონა გუგეშაშვილი, თეონა ქარჩავა, მანანა გელაშვილი, მარინე ჭყონია, ილია

ნაცვლიშვილი, რაფაელ ამბარცუმიანი, ნანა როსტიაშვილი, მარიამ სეზისკვერაძე, თემურ გიკაშვილი, ნელი იასაღაშვილი, მთვარისა კველიშვილი, მაია კაკუბავა, ნინო აბაიშვილი, რამაზ კაკუშაძე, ბესიკ ღვინჯილია, თენგიზ თევზაძე, კახაბერ იოსელიანი, სალომე ჩინჩალაძე, ქეთევან მიქელაძე, ხათუნა მარკოიშვილი, სალომე ომანაძე, რობერტ კუხალაშვილი, დოდო არობელიძე, მარიამ ბიწაძე, მარიკა ნიაზაშვილი, ბელა თალიაშვილი, გოგიტა გოგლიჩიძე, ვასილ ოსეფაშვილი, ანა ჟღენტი, ამბროსი ჭეიშვილი, ნაირა ჯუკაშვილი, ნიკა ნანობაშვილი, იოსებ სოსიაშვილი, ქეთევან ბეროშვილი, ნათელა კიზივაძე - განცხადებებს 2021 წლის საწევრო გადასახადის გადახდის გადავადების თაობაზე.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საწევრო დავალიანების მქონე წევრთა გარკვეულმა ნაწილმა ასოციაციას მომართა თხოვნით, საწევროს გადახდის სხვადასხვა ვადით გადავადებასთან დაკავშირებით.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციით გამოწვეული სირთულეებისა და სოციალურ-ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, კოლეგებს მიეცეთ დამატებითი შესაძლებლობა მიმდინარე წლის განმავლობაში დაფარონ საწევრო დავალიანება.

მან წევრებს მიმართა წინადადებით აღნიშნული განმცხადებლებისთვის საწევრო გადასახადის დაფარვის მიზნით, ერთიანი დამატებითი ვადის - 2021 წლის 20 დეკემბრის განსაზღვრის შესახებ.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:**

- 2021 წლის 17 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, 2021 წლის 18 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად შემოსული განცხადებები 2021 წლის საწევრო გადასახადის გადავადების შესახებ დაკმაყოფილდეს და საწევრო გადასახადის დაფარვის მიზნით, ზემოთაღნიშნულ განმცხადებლებისთვის 2021 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადად განისაზღვროს 2021 წლის 20 დეკემბერი.

- განმცხადებლებს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

საკითხი 5. 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საკითხის განხილვა.

დღის წესრიგის მე-5 საკითხთან დაკავშირებით წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ 2021 წლის 17 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2021 წლის 18 მაისიდან დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვრა 2021 წლის 18 ივნისი, ხოლო 2021 წლის 18 ივნისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საწევრო დავალიანების გადახდის ვადა გაგრძელდა დამატებით 14 კალენდარული დღით - 2021 წლის 2 ივლისამდე. 2021 წლის 01 ივლისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საწევრო დავალიანების გადახდის ვადა გაგრძელდა დამატებით კიდევ 14 კალენდარული დღით - 2021 წლის 16 ივლისამდე, ხოლო 2021 წლის 16 ივლისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საწევრო დავალიანების გადახდის ვადა გაგრძელდა დამატებით 16 კალენდარული დღით - 2021 წლის 2 აგვისტომდე.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ დღეის მდგომარეობით, ჯამში 550 ადვოკატს ერიცხება 2021 წლის საწევრო დავალიანება. ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან დღემდე, საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატების ინფორმირება ინტენსიურად ხორციელდებოდა: საწევრო დავალიანების მქონე წევრთა სია გამოქვეყნდა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ამასთან, შესაბამის წევრებს ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე არაერთხელ გაეგზავნათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ასოციაციისთვის ცნობილ საკონტაქტო ტელეფონის ნომრებზე.

მიუხედავად ასოციაციის მხრიდან გატარებული ღონისძიებებისა, 2021 წლის 2 აგვისტოს მდგომარეობით საწევრო დავალიანების მქონე წევრთა რაოდენობა, რომელთაც არც დავალიანება დაუფარავთ და არც დავალიანების გადახდის გადავადებით მოუმართავთ ასოციაციისათვის, შეადგინა - 475 წევრი.

თავმჯდომარემ წევრებს განუმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აღმასრულებელი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან გამოცემაზე უარის თქმის თაობაზე. “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>3</sup> მუხლის მე-2

პუნქტის თანახმად, წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, აღმასრულებელი საბჭო წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ ასოციაციის თვითმიზანი არ არის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა და ამავდროულად, წარმოდგენილი განცხადებები საწევროს გადავადების თაობაზე დაკმაყოფილდა ამავე სხდომაზე და ქვეყანაში არსებობს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი, მიზანშეწონილი იქნებოდა, 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე ყველა წევრს მიეცეს დამატებითი შესაძლებლობა მიმდინარე წლის განმავლობაში დაფაროს საწევრო დავალიანება.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგან სხდომის ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობს, ზოგიერთი საბჭოს წევრი მოკლებულია შესაძლებლობას ფარულ კენჭისყრაში მიიღოს მონაწილეობა, თუმცა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების საბოლოო ვადის გათვალისწინებით, მიმდინარე სხდომაზე მიღებულ უნდა იქნას გადაწყვეტილება ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან გამოცემაზე უარის თქმის თაობაზე. ამასთან, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, პანდემიით გამოწვეული რთული სოციალურ-ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით, სამართლიანი იქნებოდა დავალიანების მქონე წევრებისთვის საწევრო გადასახადის დაფარვის მიზნით, დამატებითი ვადად - 2021 წლის 20 დეკემბრის განსაზღვრა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

“ადვოკატთა შესახებ” კანონის 21<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2021 წლის 18 მაისს დაწყებული 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირთა მიმართ ადმინისტრაციული წარმოების დასრულების და ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

**აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად:**

- (ა) არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირთა მიმართ ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ;
- (ბ) 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრებს მიეცეთ შესაძლებლობა საწევრო შენატანის დაფარვა განახორციელონ 2021 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით;
- (გ) საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე წევრთა ინფორმირება დაევალოს ასოციაციის აპარატს.

საკითხი 6. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ გურამ ჩადუნელის და თამარ ჯიქიას განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად გურამ ჩადუნელის და თამარ ჯიქიას კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 7. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის მსმენელთა განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის მსმენელთა განცხადებებს კურსის საფასურის გადახდის სხვადასხვა ვადით გადავადების შესახებ (განმცხადებლები: სოფიო ბურნაძე, ქეთი სალაძე, ნიკო ქებურია, ნინო თაბუკაშვილი, ანი მეზურნიშვილი, გიორგი თომაძე, ბაგრატ კვიციანი, ნიკოლოზ კიზირია, ანა აბრამაშვილი, ვანიკო ვანიშვილი, ნინო ჩხაიძე, სალომე დარასელია, გიორგი თორდუა).

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-14 მუხლის, 14.3 პუნქტის თანახმად, ადაპტაციის პროგრამის მონაწილის მომართვის საფუძველზე, თეორიული კურსის საფასურის გადახდა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, სწავლების 3 თვეზე გადანაწილებით. თუმცა, ქვეყანაში კოვიდ-19 ის პანდემიით გამოწვეული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, საბჭო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ განმცხადებლებს დარჩენილი კურსის საფასურის დასაფარად მიეცეთ ერთიანი დამატებითი ვადა - ერთწლიანი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე 9 თვიანი სტაჟირების დასრულებამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული



### გადაწყვეტილება:

- დაკმაყოფილდეს სოფიო ბურნაძის, ქეთი სალაძის, ნიკო ქებურias, ნინო თაბუკაშვილის, ანი მეზურნიშვილის, გიორგი თომაძის, ზაგრატი კვიციანიას, ნიკოლოზ კიზირიას, ანა აბრამაშვილის, ვანიკო ვანიშვილის, ნინო ჩხაიძის, სალომე დარასელიას და გიორგი თორდიას განცხადებები, თეორიული კურსის დარჩენილი საფასურის გადავადების შესახებ.
- აღნიშნულ განმცხადებლებს თეორიული კურსის დარჩენილი საფასურის გადახდა გადაუვადდეთ ერთწლიანი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე 9 თვიანი სტაჟირების დასრულებამდე.
- აღნიშნული გადაწყვეტილების მონიტორინგი დაევალოს ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 8. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის დამტკიცება.

წევრები გაეცნენ აღმასრულებელი მდივნის მიერ წარმოდგენილ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ადვოკატთა ასოციაციის სამოქმედო გეგმის პროექტს, რომელიც მსჯელობის შემდეგ მათ მიერ მოწონებული იქნა. ამასთან, აღინიშნა, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავება დაეყრდნო ისეთ საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტებს, როგორცაა გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“, საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის პროექტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი #1).

საკითხი 9. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა თანმდევი აქტებში შესატანი ცვლილებების პროექტის დამტკიცება.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ 2018 წლის 16 თებერვალს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის და იურიდიულ პროფესიასთან დაკავშირებულ სხვა რეგულაციების ცვლილებებზე

მომუშავე ჯგუფის შემადგენლობა, რომელმაც აქტიური და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად უკვე შეიმუშავა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში და სხვა თანმდევ აქტებში შესატანი ცვლილებების პროექტის საბოლოო ვარიანტი, რომელიც წარმოდგენილია აღმასრულებელი საბჭოს მიმდინარე სხდომაზე დასამტკიცებლად.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: საქართველოს პარლამენტში წარდგენის მიზნით, დამტკიცდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა თანმდევ აქტებში შესატანი ცვლილებების პროექტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი #2) და გამოქვეყნდეს ასოციაციის ვებ-გვერდზე: [www.gba.ge](http://www.gba.ge) წევრთა მხრიდან დამატებითი მოსაზრებების მიღების მიზნით.

**საკითხი 10. ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის 2021 წლის 19 ივლისის განცხადების განხილვა.**

აღნიშნული საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან და გაკეთდა განმარტება, რომ საკითხის განხილვა განახლდეს მომდევნო სხდომაზე, განმცხადებლის მიერ სხდომაში მონაწილეობის სურვილის შესახებ ინფორმაციის დაზუსტების შემდეგ.

**საკითხი 11. სხვადასხვა**

წევრები გაეცნენ ა(ა)იპ სამართლის მულტიფუნქციური განათლების და ექსპერტიზის ცენტრის („მართლმსაჯულების სახლი“) განცხადებას აკრედიტაციის მინიჭების შესახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განცხადება თანდართული მასალებით აკმაყოფილებდა აკრედიტაციის წესით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ სამართლის მულტიფუნქციური განათლების და ექსპერტიზის ცენტრის („მართლმსაჯულების სახლი“) მიერ წარმოდგენილი განცხადება განცხადება აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.**

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი

გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში  
(მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი  
თავმჯდომარე